საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვით შეფასების დეპარტამენტს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სოსილა"-ს მინდობილი პირი: გიორგი ქსოვრელის (რეგისტრირებული: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მტკვრის მარცხენა სანაპირო ქსნის ქუჩის მიმდებარედ, ს/კ 204994952)

ელ.ფოსტა. gqsovreli@gmail.com

ტ. 599 25-15-55.

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სოსილა" (რეგისტრირებული: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მტკვრის მარცხენა სანაპირო ქსნის ქუჩის მიმდებარედ, ს/კ 204994952), გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობას (GPS კოორდინატში X=481915.00 ; Y=4622925.00).

ავტოგასამართი სადგურიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულიიქნება 50 მეტრით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სოსილა"-ს მიერ დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: ქ. თბილისი მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ქსნის ქუჩის მიმდებარედ), ნაკვეთი №039/032-ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია #01.12.08.039.155 და წარმოადგენს მის კუთვნილ ტერიტორიას. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს 3953 $მ^2$, მოსწორებულ, ასფალტირებულ, გზის პირზე მდებარე მიწის ნაკვრთს (იხ დანართში სურათები).

ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთზე გადაწყდა რომ, საპროექტო ავტოგასამართი სადგური ყოფილიყო „ბლოკური" ტიპის.

კერძოდ, მიწაში მოთავსებული იქნება მიწის ქვეშ 2 ცალი ავზი. ერთი 12 მეტრი სიგრძის მეორე 5 მეტრი სიგრძის, ორივეს დიამეტრი 2,80 მეტრია. იგეგმება 3 ტიპის საწვავის რეალიზაცია, რომლებისათვის ერთი დიდი მოცულობის ავზი, რომელიც 50 $მ^3$ მოცულობისაა, გაიყოფა 2 ნაწილად: 35$მ^3$ მოცულობის იქნება რეგულარის ტიპის ბენზინისათვის და 15 $მ^3$ მოცულობის იქნება პრემიუმის მარკის ბენზინისათვის, მეორე ავზი რომელიც 24 $მ^3$ მოცულობისაა, იქნება დიზელის საწვავისათვის.

ზემოთ აღნიშნული საწვავის ავზები განთავსებული იქნება ბეტონის სარკოფაგში და სიცარიელები შევსებული იქნება ქვიშა-ღორღის წვრილი ფრაქციით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 6058
24.09.2019
5/10 ფ.
02

საწვავმარიგებელი სვეტები პროექტის მიხედვით უნდა იყოს დამონტაჟებული ავზის ზემოთ და დაკავშირებული თანამედროვე პლასტიკის მილებით საწვავის ავზთან.

ავტოგასამართი სადგურის ტექნიკურ ეკონომიური მაჩვენებლებია (იხ. დანართში გენ-გეგმა):

1. მსუბუქი კონსტრუქციის ავტოსამრეცხაო ბოქსები;

2. კაპიტალური ავტოსამრეცხაო ბოქსები;

3. საოპერატორო შენობა არის მსუბუქი კონსტრუქციის, კომერციული ფართით და საპირფარეშოთი;

4. მიწისქვეშა საწვავის რეზერვუარები.

საწვავის მიღება პროექტით დაგეგმილია ავტოცისტერნის საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ დგარზე.

ყველა ეს რეზერვუარი განთავსებული იქნება მიწის ქვეშ. მათი „სასუნთქი სარქველები"-ს სიმაღლე H=3.0 მ და დიამეტრი D=0.05 მ. რეზერვუარი დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 4825 $მ^3$ ოდენობით, საიდანაც 1825 $მ^3$ დიზელის საწვავი და 3000 $მ^3$ ბენზინის საწვავი.

საწარმო საწვავს მიიღებს ავტოცისტერნების საშუალებით და გადაიტანს მას მიწისქვეშა რეზერვუარებში.

რეზერვუარებიდან საწვავი მიეწოდება ავტოგასამართ სვეტებს, საიდანაც ხდება მისი ავტომანქანების ბაკებში (ავზებში) გადასხმა.

ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მეხამრიდის განთავსება, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და ფარდულს თავისი მოქმედების არეალით. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას უნდა მოხდეს ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს საწვავის მიღების პროცესი. პროექტის მიხედვით დამიწებული უნდა იყოს ფარდული, სარეზერვუარო პარკი და საოპერატორო შენობაში განთავსებული ცენტრალური მართვის კარადა.

ტერიტორიაზე არის გათვალისწინებული წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შიდა სისტემის მოწყობა, რომელშიც გათვალისწინებულია სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა.

წყლის მომარაგება, როგორც საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, ასევე სამრეცხაოებში გამოყენებული წყლის მომარაგება განხორციელდება ქ. თბილისის წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო შიდა საკანალიზაციო ქსელი ასევე მიერთებული იქნება ქ, თბილისის საკანალიზაციო სისტემაზე.

ბენზინგასამართი სადგური აღიჭურვება ცეცხლმაქრებით, ნაგვის ურნები დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად, განთავსდება

სახანძრო ინვენტარი და სხვა დღევანდელი კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებები.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის გამოიყენება ავტომობილების სარეცხაოებში, საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის და სახანძრო მიზნებისათვის. წყლის აღება განხორციელდება ქ, თბილისის წყალმომარაგების სისტემიდან. მათი ჩაშვებას განხორციელდება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში, საიდანაც სამრეცხაოებიდან გამოსული წყალი პირველ ეტაპზე გაივლის სალექარებს და სემდგომ მოხდება მათი ჩაშვება საკანალიზაციო სისტემაში.

რადგან ავტოგასამართი სვეტები განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანაგარის ქონა.

დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის საამშენებლო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, ისინი ფიქსირდება მხოლოდ ტერიტორიის საზღვარზე და ისინი მთლიანად შენარჩუნებული იქნება. აღნიშნული ხე-მცენარეები არ წარმოადგენენ წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებს. საამშენებლო ტერიტორია მთლიანად მოასფალტებულია. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობის სპეციპიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პროექტის შეთანხმების ეტაპზე სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს გამწვანების პროექტი, სადაც განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები: მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით, მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

გასამწვანებელი მცენარეების სახეობები (კვიპაროსის, ელდარის და შავი ფიჭვის გარდა) უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან. გამწვანების პროექტში განმცხადებელმა შესაძლებელია გაითვალისწინოს ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებიც.

აქვე დავძენთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილი არ არის ამ სახეობის ფიჭვების დარგვა.

შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა, ამდენად, მიზანშეწონილია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი (კვიპაროსის, ელდარის და შავის ფიჭვის გარდა) ისე ფოთლოვანი.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის პერიოდში მიწის სამუშაოების წარმოებისას ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონმდებლობის დაცვით დასაწყოვებული იქნება საწარმოო.

ავტოგასამართ სადგურში ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეიბის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით საამშენელო მასალების წარმოქმნა ნარჩენების სახით, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში 2.5 $მ^3$-ის ოდენობით), ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა

განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის უშუალო სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ არის.

ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მათი დაღვრა. ავტოგასამაღი სადგურის გასაცემი სვეტების მოედანის გარე პერიმეტრი მოწყობილია არხებით, რომელიც შეერთებული მიწისქვშა ავზთან, სადაც დაღვრის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. აღნიშნული დაღვრილი ნავთობპროდუქტების რეზერვუარში დალექვის შემდეგ. ისინი ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა. ასევე სახანძრო უსაფრთხოებიშ მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით.

პატივისცემით, გიორგი ქსოვრელის (მინდობილი პირი)

დანართი 1. ავტოგასამართი სადგურის გენ-გეგმა



დანართი 2. საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური სურათი.

დანართი 3 საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური სურათი.

დანართი 4. საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთის ამონაწერი.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.12.08.039.155**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882019296848 - 19/04/2019 15:11:58	**22/04/2019 15:09:02**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ნაძალადევი		
01	**12**	**08**	**039/155**

მისამართი: ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ქსნის ქუჩის მიმდებარედ); ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ნაკვ.N039/032-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 3953.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**01.12.08.039.032; 01.12.08.039.080; 01.12.08.039.150;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1

შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 522.00

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012006039199 , თარიღი 10/07/2006

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1994 წლის 29 დეკემბრის დადგენილება, ოქმი N38.18.396.
- საქართველოს კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ."
- ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის 1985 წლის 11 აპრილის N08.15.193 გადაწყვეტილება.
- სანოტარო წესით 2002 წლის 11 დეკემბერს დამოწმებული 2001 წლის 18 სექტემბრის ს/ს "აკადსერვის-94"-ის საერთო კრების ოქმი N1 (რეესტრის N1-6241, ნოტარიუსი ქ. გამსახია).
- ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ 2002 წლის 19 ნოემბერს გაცემული ტექნიკური პასპორტი.
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N3167 , დამოწმების თარიღი:21/02/2014 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- სანოტარო წესით 2002 წლის 4 ნოემბერს დამოწმებული 2001 წლის 28 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტი (რეესტრის N1-4155, ნოტარიუსი ც. ბერიძე).
- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) Nე-244-4-10774 , დამოწმების თარიღი:28/01/2014 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N3166 , დამოწმების თარიღი:21/02/2014 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) NE-244-4-10774 , დამოწმების თარიღი:28/01/2014 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- ქ. თბილისის არქიტექტურის და საქალაქო სამსახურის მიერ 2002 წლის 2 დეკემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.

მესაკუთრეები:
შპს "სოხილა" , ID ნომერი:204994952

მესაკუთრე:
შპს "სოხილა"

აღწერა:

დანართი 5. მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.12.08.039.155*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 88201506 1077
მიწის ნაკვეთის ფართობი: *3953* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 16.02.15



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ვალდებულება
ხაზობრივი ნაგებობა
0.00
00.0
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
მიწისქვეშა ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

71914084413717

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170123571

რეგისტრაციის თარიღი

07.02.2017 წ

ნოტარიუსი: რუსუდან ფიფია
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #10
ტელეფონი: 2223678

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირ N10-ში, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **რატი ავალიანი**. სანოტარო მოქმედების შესრულებისას ელექტრონული კომუნიკაცია იძლეოდა რატი ავალიანის და ნოტარიუსის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას. რატი ავალიანმა განაცხადა, რომ ის იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ბოსტონში და მას, როგორც შპს ,,სოსილა''-ს დირექტორს სურს გასცეს მინდობილობა, რის საფუძველზეც შპს ,,სოსილა''-ს სახელით სპეციალურ უფლებამოსილებას მიანიჭებს **გიორგი ქსოვრელს**. რატი ავალიანმა მოითხოვა მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. რატი ავალიანის განცხადებით აღნიშნულ მინდობილობას მისი თხოვნით და მის ნაცვლად ხელს მოაწერს ქეთევან გაგუა, ხოლო მოწმის სახით დაესწრება ვახტანგი სიჭინავა.

სანოტარო მოქმედების შესრულებისას ჩემს სანოტარო ბიუროში იმყოფებოდნენ მინდობილობაზე ხელმომწერი პირი ქეთევან გაგუა და მოწმე ვახტანგი სიჭინავა.

რატი ავალიანის (დაბადებული 04. 10. 1997 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N33ა, ბინა N59, პირადი N01008058271) და ხელმომწერი პირის **ქეთევან გაგუას** (დაბადებული 03. 04. 1969 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N33ა, ბინა N59, პირადი N01024034493) პირადობა ჩემთვის ცნობილია. დავადგინე მოწმის **ვახტანგი სიჭინავას** (დაბადებული 24. 04. 1981 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, ვ. გუნიას ქუჩა N5, პირადი N01017024431) პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით. შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემოწმებისას მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ასევე შევამოწმე **რატი ავალიანის** უფლებამოსილება. რატი ავალიანი არის შპს ,,სოსილა''-ს (მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო, რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 5ა/4-3322; 05/07/2002, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204994952, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მტკვრის მარცხენა სანაპირო ქსნის ქუჩის მიმდებარედ) დირექტორი, რაც დასტურდება შპს ,,სოსილა''-ს შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17005031, 17/01/2017 18:46:57 საათი.

მოწმეს, ვახტანგი სიჭინავას განვუმარტე ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 26-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მოწმე უნდა იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი, წერა-კითხვის მცოდნე პირი, მოწმეს არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული სამოქალაქო ქმედუნარიანობა და სანოტარო მოქმედებით არ უნდა იღებდეს სარგებელს პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით, ასევე მოწმე არ უნდა იყოს სანოტარო მოქმედების მონაწილე რომელიმე მხარის და/ან ნოტარიუსის ნათესავი აღმავალი და დამავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით, ასევე სანოტარო მოქმედების მონაწილე იურიდიული პირის დაქირავებული პირი.

ვახტანგი სიჭინავა არ არის ნოტარიუს რუსუდან ფიფიას ნათესავი.

სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. რატი ავალიანმა და ვახტანგი სიჭინავამ დამიდასტურეს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობა.

შემდეგ, შევადგინე მინდობილობა, რომელიც ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ხელმომწერი პირის, ქეთევან გაგუას და მოწმის, ვახტანგი სიჭინავას თანდასწრებით წავუკითხე რატი ავალიანს. განვუმარტე მინდობილობის სამართლებრივი შედეგები. რატი ავალიანმა განაცხადა, რომ მინდობილობა შეესაბამება შპს ,,სოსილა''-ს ნებას. რატი ავალიანის თხოვნით და მის ნაცვლად წინამდებარე მინდობილობას ხელი მოაწერა ხელმომწერმა პირმა ქეთევან გაგუამ და მოწმემ ვახტანგი სიჭინავამ, რასაც ვამოწმებ. ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 52-ე მუხლის თანახმად, სანოტარო მოქმედების ჩაწერა განხორციელდა ვიდეო-ფაილის სახით.

ვახტანგი სიჭინავა

ქეთევან გაგუა

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის შვიდ თებერვალს შპს ,,სოსილა''-მ (მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო, რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 5ა/4-3322; 05/07/2002, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204994952, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მტკვრის მარცხენა სანაპირო ქსნის ქუჩის მიმდებარედ), შემდგომში ,,მარწმუნებელი", წარმოდგენილი დირექტორის **რატი ავალიანის** (დაბადებული 04. 10. 1997 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N33ა, ბინა N59, პირადი N01008058271) სახით, **გიორგი ქსოვრელს** (დაბადებული 26. 09. 1980 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, იაკობ გოგებაშვილის პირველი შესახვევი N5, პირადი N01017011902), შემდგომში ,,რწმუნებული" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის, შპს ,,სოსილა''-ს ინტერესები ნებისმიერ კომერციულ ბანკთან, მათ შორის სს ,,თიბისი ბანკთან'' ურთიერთობაში. მარწმუნებლის სახელით კომერციულ ბანკ(ებ)ში, მათ შორის სს ,,თიბისი ბანკში'' გახსნას ნებისმიერი ტიპის საბანკო ანგარიში, მართოს და განკარგოს მარწმუნებლის კუთვნილი საბანკო ანგარიშები (არსებული და სამომავლო (მინდობილობის გაცემის შემდგომ გახსნილი). აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია მარწმუნებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე, მათ შორის შემოსავლის, გასავლის, გადარიცხვის ოპერაციები, მოახდინოს საბანკო ანგარიშებიდან შეუზღუდავი ოდენობით თანხის (ნებისმიერ ვალუტაში) გამოტანა, ანგარიშებზე თანხის დეპონირება, გადარიცხვა, ნებისმიერი ოდენობის თანხის კონვერტაცია ნებისმიერ ვალუტაში. მარწმუნებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაციის განხორციელების მიზნით დაამზადებინოს პლასტიკური ბარათ(ებ)ი, მიიღოს (მათ შორის ბანკომატში დაკავებული) და ისარგებლოს აღნიშნული პლასტიკური ბარათებით. დახუროს მარწმუნებლის კუთვნილი საბანკო ანგარიშ(ებ)ი. შეიტანოს ნებისმიერი შინაარსის ცვლილება/დამატება არსებულ/გაფორმებულ ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებში და თავად, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ცვლილებათა/დამატებათა ყველა პირობა; მიიღოს ნებისმიერი ცნობა/ინფორმაცია/დოკუმენტი მარწმუნებლის ანგარიშ(ებ)თან და მათზე განთავსებულ სახსრებთან დაკავშირებით; ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, განაცხადს/განცხადებას; დაარეგისტრიროს და ისარგებლოს ინტერნეტ ბანკის, SMS ბანკის და ნებისმიერი სხვა სახის დისტანციური საბანკო მომსახურებით, მიიღოს მარწმუნებლის კუთვნილი დიჯიპასი, მიიღოს ტექნოლოგიური პროდუქტების პაროლები. ხელი მოაწეროს საბანკო პროდუქტებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ განაცხადს/განცხადებას, როგორც მათი მიღების, ჩართვის/გააქტიურების, ასევე ლიმიტის ცვლილების (გაზრდა და/ან შემცირება) შესახებ, აგრეთვე ნებისმიერ სხვა დოკუმენტს, რაც დაკავშირებულია საბანკო პროდუქტ(ებ)ით სარგებლობასთან; გააუქმოს გააქტიურებული/არსებული საბანკო პროდუქტები და სერვისები;

რწმუნებული ასევე უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურთან და შესაბამის დეპარტამენტებთან ურთიერთობაში. მარწმუნებლის სახელით გადაიხადოს მარწმუნებლის მიერ გადასახდელი ნებისმიერი სახის გადასახადი, წარადგინოს (გააგზავნოს) დეკლარაციები, როგორც ელექტრონული, ასევე წერილობითი ფორმით, აიღოს შედარების აქტი, ასევე ცნობა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2020 წლის შვიდი თებერვლის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ, თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს რუსუდან ფიფიას სანოტარო არქივში, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცა რწმუნებულ გიორგი ქსოვრელს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუს რუსუდან ფიფიას სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. შპს ,,სოსილა''-ს შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერი, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17005031, 17/01/2017 18:46:57 საათი.

,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2011 წლის ოცდაცხრა დეკემბრის N507 დადგენილების 32-ე და 39-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია საზღაური 50 ლარი + საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღგ 9 ლარი + სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), სულ 61 ლარი.

მარწმუნებელი, შპს ,,სოსილა'',
წარმოდგენილი დირექტორის რატი ავალიანის სახით

მინდობილობაზე ხელმომწერი პირი
ქეთევან გაგუა ქეთევან გაგუა

მოწმე
ვახტანგი სიჭინავა ვახტანგი სიჭინავა

ნოტარიუსი /რუსუდან ფიფია/

შესრულებულია
გვერდზე
ნოტარიუსი